სახალხო გაზეთი

№ 620 შაბათი, 9 ივნისი, 1912 წ. № 620

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; უკან დაბრუნებული წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . .
და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისაზევე ღირს 40 კაპ. შეიძლება მარკებით.
ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . .
და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე . უფასოდ.

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიათ გაზეთის ბანდეროლი გამოგვზავნონ) ის ეხალი.

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად 1 წ. „ბრძოლა“.

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
თვეში ღირს 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ);
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

იაკობ გოგებაშვილის ნების აღმსრულებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც სურს განსვენებულის დაკრძალვაში მონაწილეობა მიიღოს კერძოდ ან როგორც წარმომადგენელმა, წინდაწინვე განუცხადოს ეს ქ. შ. წერა-კითხვის გ. საზოგადოების კანცელარიას ივნისის 8-სა და 9-ს.
(2—1323—1)

„სახალხო გაზეთი“-ს რედაქცია მკითხველთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ განსვენებულ

იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის

სულის მოსახსენებლად დანიშნულია **პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში საღამოს 8 საათზე.**
(1—1)

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ „საზოგადოების“ საპატიო წევრის

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის

დაკრძალვა დანიშნულია 10 ივნისს, კვირას. წირვა და ანდერძის აგება მოხდება ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველ დღე ქვაშვეთის ეკლესიაში, საღამოს 8 საათზე.
(7—1311—6)

მთაწმინდის რაიონის ქართველი მშობლები: **მ. გარაყანიძისა, ე. ტროშელიძისა, დ. ვითაშვილისა, თ. დეკანოზიშვილისა, ლ. ანანიაშვილისა და სხვანი** აუწყებენ საზოგადოებას, რომ თიბათვის 9-ს, შუადღის 12 საათზე, მამადავითის ეკლესიაში, გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულ მოღვაწის, სახელოვან მასწავლებლის

იაკობ გოგებაშვილის

სულის მოსახსენებლად.
(1.502.1)

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ამით აცხადებს, რომ დღეს, 9 ივნისს, საღამოს 8 საათზე ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში, გადაიხდის პანაშვიდს თავის წევრის და საზოგადო მოღვაწის

იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის

სულის მოსახსენებლად.

თამარა ალექსანდრეს ასული ვახვახიშვილისა შვილებითურთ და ელენე ლევა-ს ასული ვახვახიშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 11 ივნისს, ქალაქ თელავში სასაფლაოს მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

თავ. არჩილ დიმიტრის ძის ვახვახიშვილის

სულის მოსახსენებლად, წირვა და პანაშვიდი დაიწყება დილის 9 საათზე.
(1—504—1)

სამარხ პროცესიათა ბიურო
გ. ბ. კიკნაძე

დიდ-ძალი და ზევრნაირი

გვირგვინები.

დიდი ვანქის ქუჩა, № 12. (5—1313—5)

დაარსებულია 1904 წ.

სანატორიუმი

მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

და საზაფხულო სამყოფი
ექიმ ვახტანგ დ. ლამბაშიძისა

პატარა ცემი

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. **ვ. ლამბაშიძეს, ქ. ტფილისს.**

მიიღება დაქანცული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭაობის ციებით დაავადმყოფებულნი.
არ მიიღება სიჭლექით დაავადმყოფებულნი,
(25.1291.15)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძალინიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაცი ნარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სამშობიარო-ქალთა ავ. (ქირურგ.-გინეკ.)	**მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი** (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირაძოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო-ქალ. სნეულებანი	**ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირაძოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი შ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი. ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელ-ვათიანი სფასურით.
(წ. 1.10.36)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროლანოვის ქ. № 20.
(წ.—1022—33)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე).
(თ.—1049—105)

ექიმი ი. ვ შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. ნდილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს. ბაქოს ქ., № 12 ს.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.** № 94, საფოსტო განყოფი. პირდ.
(25—1178—49)

ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.120).

ექიმი ივ. გომართელი

მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი.
(25.468.12)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1147 311)

შპალიერი
ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა.
ტფილისის განყოფილება.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.
შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.115).3

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. გაზაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
ბ. ა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა 606-ით.
(წლ—1018—284).

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, ლოგინათბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 181)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 ს. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ. № 1. სახლი მდივანისა.

ექიმი კბილისა **ნიკო რუხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1057
(100—1117—172)

ქართული პრესა

იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო ქუთათური გაზეთი „კოლხიდა“ სწერს:

„ვინ იყო იაკობ გოგებაშვილი? არის განა კუთხე მთელ საქართველოში, სადაც არ ასწავლიდნენ მის „დედა-ენას“? იაკობს იცნობდნენ სპარსეთისა და ოსმალეთის ქართველებიც. გამუსულმანებული ქართველნი ჰკვებავენ თავის ეროვნულ გრძნობას და სწავლობდენ ქართულ ანბანს „დედა-ენის“ შემწეობით. არაჩვეულებრივით ვრცელდება ჩვენში ეს წიგნი, ედება ყოველ კუთხეს, ფეხს იკიდებს სკოლებში და აყვარებს პატარა ქართველთ თავის სამშობლო ენას... ეს იშვიათი ნიჭისა და ენერგიის მქონე ადამიანი არამც თუ მარტო ადგენდა სახელმძღვანელოებს ქართული სკოლისთვის, არამედ თავდადებით ებრძოდა 40—50 წლის განმავლობაში იმ უკუღმართ მიმართულებას, რომელიც ჰგლეჯს ქართველს თავის სამშობლო ენას, სპობს სკოლებში ქართულს და ცდილობს გადაგვარებულ არსებად აქციოს ჩვენი მომავალი თაობა, სრულიად ქართველი ერი“.

სახელმწიფო სათათბირო

დღეები.

(გაგრძელება)

როძიანკო თავმჯდომარეობს.

შინგარიოვი საქმის საფინანსო მხარეს ეხება. იგი წინააღმდეგია ფლოტისათვის ამდენ ფულის გადადებისა. თუ გნებავთ ფული გადასდეთ, მხოლოდ პასუხისმგებლობაც თქვენ იკისრეთო.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ამ ხუთ წელიწადში ყოველთვის ასე მომხდარა. ჯერ მე ვილაპარაკებ, შემდეგ შინგარიოვი და მერე ისევ მე მომიხდება ხოლმე ტრიბუნაზე ასვლა. უეჭველად საჭიროა ფლოტისათვის 502 მილიონის გადადება. ზოგს სახელმწიფოს დაცვისათვის დახარჯული ფული თითქმის დაკარგულად მიაჩნია, მაგრამ ძლიერა სცდებიან. მთავრობა ამ შემთხვევაში პირნათლად ასრულებს მოვალეობას სამშობლოს წინაშე და გთხოვთ უეჭველად გადასდოთ საჭირო ფული გემთა ასაგებ გეგმის განსახორციელებლადაო.

ბარონი ჩერკასოვი ამბობს, რაც უნდა ბევრი იყვირონ ოპოზიციონერებმა, სათათბირომ მაინც მტკიცედ უნდა დაიცვას მოვალეობა სამშობლოსადმიო.

გუჩკოვი წინააღმდეგია ასისთანა დიდძალ ფულის გადადებისა. საჭიროა არა მარტო ფლოტისათვის ზრუნვა, უფრო მეტად საჭიროა ხმელეთის ჯარისათვის მუშაობა. მთავრობა პატრიოტიზმით ამართლებს თავის საფლოტო პროგრამას. მაგრამ პროგრამის კრიტიკოსებიც პატრიოტები არიან და თავის დღეში ვერ შეუწყობენ ხელს მთავრობის შეცდომებს.

ზვეგინცევი უპასუხებს გუჩკოვს, თუ თქვენ გულწრფელი ბრძანდებით, ჩვენც ნუ მოგვაკლებთ მაგ თვისებას, თქვენი მოწინააღმდეგენიც გულწრფელნი არიანო.

პოკროვსკი აღნიშნავს, მთავრობას ამ ხუთ წელიწადში ერთი ათად გაუდიდებია სამხედრო ხარჯები და მილიარდებს აბნევს გამგონე სათათბიროს დახმარების წყალობითაო. იმდენად დაჰმონებია სათათბირო მთავრობასა, რომ აუარებელ ფულს აძლევს მთავრობას, ხალხს პირში ლუკმას აცლის და მეოთხე სათათბიროსაც კი ჰზორკავს თავის გადაწყვეტილებითაო.

მარკოვი მე-2. განა რუსეთ-იაპონიის ომმა ნათლად არ დაგვიმტკიცა ჯავშნოსან ფლოტის საჭიროება? მოლაპარაკე მომხრეა სამინისტროს პროექტის უცვლელად მიღებისა.

გადასწყვიტეს კამათის მოსპობა.

კანონპროექტი სასწრაფოდ აღიარეს.

გადასწყვიტეს მუხლობრივ განხილვა და რამდენიმე შესწორებაც მიიღეს. სხდომა ღამის 2 საათსა და 8 წუთზე დასრულდა.

შემდეგი სხდომა 7 ივნისის დილას მოხდა.

საზღვაო მინისტრის სიტყვა არ გამოქვეყნდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

— **პ. პ. არქიპოვი,** მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის სამინისტროს რწმუნებული, სამსახურის

საქმეთა გამო შავის ზღვის მხარეს გაემგზავრა.

✦ **ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწედ** ნაცვლად ქანანოვისა, რომელიც სამსახურიდან დაითხოვეს, ქალაქის გამგეობამ ნაფიცი ვექილი ვ. ი. ჯაფარიძე მიიწვია.

✦ **პროფ. მარრი**, როგორც ვწერდით, ანს გაემგზავრა საარქეოლოგიო გამოკვლევათა გასაგრძელებლად ანიდან იმავე მიზნით სვანეთს წავა სადაც წინა წლებში დაიწყო გამოკვლევა.

✦ **სათათბიროს არჩევნების გამო**. რადგანაც ახლავ საჭიროა, დაწყებულ იქმნეს წინასწარი მუშაობა სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩევლების სიის შესადგენად, ამიტომ ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი გუბერნატორს სთხოვს, ნება დართოს, საჭირო ფული დახარჯოს არჩევნებისთვის გადადებული 10,000 მანეთიდან. როგორც ვწერდით, სამუშაოს მრავალი ხალხი თხოულობს მთხოვნელთა შორის 8 კაცს უმაღლესი სასწავლებლი აქვს გათავებული, 106 კურსისტკა და სტუდენტია და 59-საშუალო სასწავლებელი აქვს გათავებული.

✦ **ნამესტნიკის საბჭომ** დაადგინა, სამართალში მისცეს ზანგეზურის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელ შუამავლად ნამყოფი იოსებ ფორაქოვი, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედებათა ჩადენა ბრალდება.

✦ **თავის მოკვლა.** 7 ივნისს, საღამოს ათ საათზე სამეძაო სახლების (ელიაროვის ქუჩაზე) ახლოს კარბოლის სიმჟავით თავი მოიკლა მაქსიმე ილიას ძე ჩუიკინმა, 19 წლისამ. მიზეზი რომანიული ნიადაგია.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიისათვის მდივანი** მოწვეულ იქმნება 1 აგვისტოდან, თანახმად ქალაქის საბჭოს ახალ დადგენილებისა. წინად განზრახული იყო, მდივანი 1913 წლის 1 იანვრიდან მოეწვიათ. მდივანს ჯამაგირად წელიწაში 1200 მან. მიეცემა.

✦ **ნაძალადევის საქალაქო მიწების გამოსყიდვის გამო.** ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც დაკმაყოფილებულ იქმნა ნაძალადევის საქალაქო მიწების მოიჯარადრეთა რწმუნებულის ა. ს. ღულაძის თხოვნა: მოიჯარადრენი რწმუნებულის პირით შუამდგომლობდნენ, რომ მიწების გამოსყიდვის ვადა, რომელიც უკვე გავიდა, კვლავ გაეგრძელებინათ.

✦ **საფუთო გადასახადი**. მოკლე ხანში ქალაქის გამგეობასა და საბირჟო კომიტეტს შეერთებული კრება ექნება. განხილულ იქმნება საკითხი იმის შესახებ, რომ გადასახადი დაედოს ტფილისში რკინის გზით შემოტანილ, ან ტფილისიდან გატანილს საქონელს.

✦ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთს ჯგუფს საჭიროდ მიაჩნია, საბჭომ სავალდებულო დადგენილებანი გამოსცეს **საბირჟო ავტომობილების** შესახებ. ამ საგნის შესახებ მოკლე ხანში ჯგუფი გამგეობას შესაფერს განცხადებას წარუდგენს.

✦ **სახალხო სახლი ნაძალადევში.** როგორც ვწერდით, ტფ. სიფხიზლის საზოგადოებამ ქალაქის თვითმართველობას სთხოვა საქალაქო მიწა, ზომით 1,540 ოთხკუთხი საჟენი, რომელიც მდებარეობს ნაძალადევში. საზოგადოებას ამ ჟამად 30,000 მანეთამდე აქვს და ხსენებულ ადგილზე სახალხო სახლის აშენებას აპირობს. სახლის გარშემო განზრახულია ბაღის გაშენება. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, თხოვნა დააკმაყოფილოს. საბჭომ გამგეობის დადგენილება დაამტკიცა. სახალხო სახლი სიფხიზლის საზოგადოებამ ერთის წლის განმავლობაში უნდა ააშენოს. მუშაობა უნდა სწარმოებდეს ქალაქის გამგეობის ზედამხედველობით. სახლის გამგე კომისიაში ქალაქის მხრივ ორი წარმომადგენელი უნდა იყოს.

✦ 6 ივნისს შეიპყრეს არტაშეს მიკირტიჩას ძე ადამიანცი, რომელიც კაცის მოკვლისათვის $2\frac{1}{2}$ წელიწადს ციხეში იჯდა და შემდეგ გორში გადაასახლეს, მაგრამ ტფილისში თავის ნებით დაბრუნდა.

✦ 7 ივნისს ტფილისში 24 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება 7 ივნისს მოხდა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. განსახილველი იყო 28 საქმე. საბჭომ მოასწრო 18 საქმის განხილვა. საბჭომ უარი უთხრა ბინის ფულის მიცემაზე ამიერ კავკას. საპოლიც. სადარაჯოს ინსპექტორს პოლკოვნიკს დუბანოვს და ამავე სადარაჯოს აფიცერს არეშევს. სარევიზიო კომისიის მოხსენება ქალაქის გამგეობის 1908 წლის საფინანსო ანგარიშის შესახებ საბჭომ შემოდგომისთვის გადასდო. საბჭომ მხედველობაში მიიღო მოხსენება საბჭოს კომისიისა, რომელსაც ქალაქის ლომბარდის საქმეები კარგს მდგომარეობაში აღმოუჩენია. პოლიციელს სტეფანე სემილეტოვს 23 წლის სამსახურისთვის საბჭომ 250 მან. მისცა. სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის განხილვა სხვა დროისთვის გადაიდო.

✦ ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის საზოგადო კრება, რომელიც დანიშნული იყო ხუთშაბათს, 7 ივნისს, გადაიდო შემდეგისათვის. მცხოვან პედაგოგ იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებისა გამო. საზოგადო კრებამ პატივი სცა განსვენებულის სახელს ფეხზე ადგომით, და დაავალა წრის გამგეობამ პატივი სცეს განსვენებულს დასაფლავების დღეს.

სასწავლებლებში

✦ **ტფ. წმ. ნინოს სასწავლებელი** წელს შემდეგ ქართველ ქალებს გაუთავებიათ: ე. ბარნოვს, ქ. ლიონიძეს, ქ'. კურცხალიას, მ. ჭავჭავაძეს, ნ. ანდრონიკაშვილს, ვ. ბაბუნიძეს, ოლღა ბაბუნიძეს, მარ. გომელაურს, მ. კანდელაკს, მ. ნაკაშიძეს და ალ. ციციშვილს.

✦ **ტფ. სავაჟო პირველი გიმნაზია** წელს მხოლოდ ორ ქართველს გაუთავებია: დ. აბაშიძესა და ა. ალექსი-მესხიშვილს.

✦ **ტფ. მესამე სავაჟო გიმნაზია** წელს ექვსს ქართველს გაუთავებია: გ. ბერელაშვილს, ივ. გოგოტაძეს, ირ. დარჩიაშვილს, ლ. ბრეგვაძეს, არჩ. ხარაძეს და გაბრ. ცისკარიშვილს. უკანასკნელ სამ მოწაფეს ვერცხლის მენდლით გაუთავებია კურსი.

✦ **წელს ტფილ. საქალებო პირველ გიმნაზიის** მერვე კლასის სამათემატიკო განყოფილება გაუთავებიათ: ოლღა გარაყანიძეს, გაიანე ლომოურს და მარიამ ციციშვილს.

✦ **სასწავლებელი ნაძალადევში.** ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ დირექციამ სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე უკვე აღძრა შუამდგომლობა, რათა ხაზინიდანფული გადაიდოს ნაძალადევში განზრახულ მეორე სკოლის შემადგენლობის შესანახად. დირექტორი ამასთანავე დასძენს, შენობის ხარჯის ნახევარის გაღების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქი სკოლას უფასოდ მიწას დაუთმობსო. წარმოდგენილ უნდა იქმნეს განზრახულ სკოლის ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმაო. ამასთანავე შენობის ფასი 12-15 ათას მანეთს არ უნდა აღემატებოდესო.

შეცდომის გასწორება გუშინდელ მეთაურში შეგვეპარა რამდენიმე მძიმე კორექტურული შეცდომა. ორს ალაგას, 41 და 50 სტრიქონებში, „**დამარცხებულის**“ ნაცვლად დაბეჭდილია „**დამაარსებელი.**“

იაკობ სვ. გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.

იაკობ გოგებაშვილის დაკრძალვის ცერემონიალი.

კვირას, დილის 8 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დაიწყება წირვა და მერე წესის აგება, რომელიც დასრულდება სწორედ 11 საათზე.

ამავე დროს განსვენებულის კუბოს ეკლესიიდან გამოასვენებენ ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების წევრნი და განსვენებულის ნების აღმსრულებელნი და ცხედარს სამგლოვიარო ეტლზე დაასვენებენ.

სამგლოვიარო პროცესია გაემგზავრება ქვაშვეთის ეკლესიიდან გოლოვინის პროსპექტით შემდეგის წესით: წინ ჯვარი და საეკლესიო ბაირაღები, შემდეგ გვირგვინები, მოწაფენი—ქალნი და ვაჟნი, მგალობელთა გუნდი, დეპუტატები, ისევ მგალობელთა გუნდი, სამღვდელოება, სამგლოვიარო ეტლი განსვენებულის ცხედრით, სამგლოვიარო ეტლის ორთავ მხარეს სტუდენტობა. ცხედარს მიჰყვებიან ნათესაობა, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის წევრნი, თავად-აზნაურთა, ქალაქების, დრამატიულ საზოგადოების, ისტორ. და ეთნოგრაფიულ საზოგადოების, წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებათა, ქართული გიმნაზიების, პრესისა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

ვერის დაღმართის თავში სამგლოვიარო პროცესია შესდგება და გადახდილ იქმნება მცირე პანაშვიდი. ვერის ხიდით პროცესია გაემართება მიხეილის პროსპექტზე, გაივლის მუშტაიდის ბაღს და დაადგება დიდუბის ქუჩას. დიდუბის ეკლესიის ეზოსთან სამგლოვიარო ეტლიდან ცხედარს გადმოასვენებენ მასწავლებელნი და მოწაფენი და მიასვენებენ სამარესთან, სადაც გადახდილი იქნება უკანასკნელი ლიტია, რომლის შემდეგ წარმოითქმება სიტყვები და მოხდება ცხედრის დაკრძალვა.

განსვენებულმა მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა **ანდერძით** ათ-ათი თუმანი დაუტოვა: 1) ტფ. სასულიერო სემინარიასთან არსებულ ანდრია პირველწოდებულის სახელობის ძმობას, 2) სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას და 3) მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებას.

„სახალხო გაზეთის“ ასოთ-ამწყობნი ვუერთდებით მთელი ქართველი ხალხის მწუხარებას და ვგლოვობთ ჩვენს აღმზრდელ-მასწავლებლის და ქართული ენის მოჭირისუფლე პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის უდროოდ დაკარგვას. მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს ქედი მოვიხაროთ ძვირფას მამულიშვილის ცხედრის წინაშე და ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შევამკოთ მისი კუბო.

საბავშვო ბაღის გამგეობამ დაადგინა: განსვენებულ გოგებაშვილის სურათი ჩამოჰკიდოს ბაღის სადგომში, მისი კუბო გვირგვინით შეამკოს, მის ხსოვნის აღსანიშნავად ერთი სტიპენდია დანიშნოს უღარიბეს ბავშვისთვის და წარმომადგენლებით დაესწროს განსვენებულის დაკრძალვას.

ბათომი. ქართვ. შორის წ.-კითხ. გამავრცელებელი საზოგ. ბათუმის განყოფილებამ იაკ. გოგებაშვილის გარდაცვალების გამო დაადგინა: ა) გადაიხადოს პანაშვიდი მისი დამარხვის დღეს; ბ) მისი სურათი მოათავსოს საპატიო ადგილას ქართულს სასწავლებელში; გ) გაგზავნოს ქალტფილისში მის დასაფლავებაზე დასასწრებლად თავმჯდომარე განყოფილებისა ე. მ. კრინიცკი და წევრი ი. ი. ფერაძე; დ) მათვე მიენდოს მიიღონ მონაწილეობა უკეთუ იაკობ გოგებაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფლად რაიმე მსჯელობა ექმნება მის პატივისმცემელთა კრებას: გამგეობა თანახმაა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ზნეობრივად და ნივთიერად იმ გადაწყვეტილების განხორციელებაში, რომელსაც ეს კრება დაადგენს.

მერეთი. 5 თიბათვეს გადავიხადეთ პანაშვიდი განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად.

სამგლოვიარო დეპეშები.

სადგ. რუსსი. უგულითადესად ვგლოვობ სახელოვან პედაგოგისა და ქართველ საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო. არქიმანდრიტი **ამბროსი.**

ფოთი. სამოქალაქო სკოლის მოწაფეები გულდაწყვეტილნი ვსტირით დიად აღმზრდელის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას.

სამტრედია. უღრმეს მწუხარებას ვაცხადებთ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილის, სამშობლოს პედაგოგის მნათობისა, დაუღალავ საზოგადო მოღვაწისა, და პუბლიცისტის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო. მისი პანაშვიდი გადავიხადეთ სოფ. საჭილაოში.

კნეინა ნატალია აბაშიძე, მღვდელი ეპიფანე გაგუა, მღვ. ნიკოლოზ დავითაია, მღ. ონისიმ ნემსაძე, კონსტანტინე თოფურიძე, იუსტინე ხონელიძე, სტუდენტი მედიკი ნიკურაძე, არისტრახ ჰანტურია, თამარ ხონელიძე, გიორგი პიტავა, პარმენ ასათიანი, გიორგი ანაკიძე, გიორგი ხონელიძე, ანტონ ჩიგოგიძე, ოქროპირ კუნთელია, თომა გუგუშვილი, ყარამან ჟალიკაძე, პავლე კომახიძე, იოსებ კომახიძე, ირაკლი ჩიგოგიძე.

ქუთაისი. უღრმესად ვგლოვობთ ჩვენი საუკეთესო პედაგოგისა, ცნობილ საზოგადო მოღვაწისა და სამშობლო ქვეყნის ჯეჯილში იშვიათ მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას. მუხლ მოდრეკილნი მოწიწებით ქედს ვიხრით ამ თავგანწირულ ქართველ ცხედრის წინაშე, რომლის დედაენამაც აღზარდა ბევრი თაობა.

ქუთაისის ქართველ სტუდენტთა ერთი ჯგუფი.

ქუთაისი. უგულითადეს მწუხარებით ვუერთდებით საერთო ეროვნულ გლოვას ძვირფას და დაუვიწყარ საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო და მთელ ხალხთან ერთად [illegible] ვაფრქვევთ [illegible] დაკარგვის გამო.

ქუთაისის ქალთა [illegible].

ნახიჩევანი. ნახიჩევანში მცხოვრები ქართველები მთელ ქართველ ერთან ერთად გლოვობენ დაუღალავ, უბადლო საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის გარდაცვალებას, რომელიც ხანგრძლივ და თავგამოდებით მოღვაწეობდა მშობლიურ სკოლისათვის.

კანდელაკი, შენგელია, გიაშვილი, ხომერიკი, ჟორდანია, ყიფიანი, ჩახავა, გამყრელიძე, მეძმარიშვილი, საგანელიძე, მ. საგანელიძე.

ახალსენაკი. გულწრფელად ვგლოვობთ ძვირფას მასწავლებლის დაკარგვას. ჩვენ, სამრევლო სკოლების მასწავლებელნი დავრჩით უბელადოდ. ვინღა გაგვიწევს იაკობის მაგიერობას.

მასწავლებლები: ახალსენაკის ორკლასიანის სკოლისა, ბანძის მეორე კლასიანისა და ქალთა ერთკლასიან სკოლისა.

ქუთაისი. ქუთაისის წიგნის მაღაზიების პატრონები იზიარებენ ქართველ ერის საერთო მწუხარებას და უღრმეს მწუხარებას აცხადებენ დაუვიწყარ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებას გამო. მან გაამდიდრა ქართული საპედაგოგიო მწერლობა ბევრ ძვირფას სახელმძღვანელოთი და საბავშო წიგნებით რომლითაც აღიზარდა ქართველი ხალხის რამდენიმე თაობა.

მთავრიშვილი, კვიბარიძე, გოგიშერიძე, გალუსტოვი, კორძაძე.

ქუთაისი. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგაოოების ქუთაისის განყოფილება გულდათუთქულია გამოჩენილ საზოგადო მოღვაწისა და ნიჭიერ პედაგოგ იაკობ გოგებაშვილის დაკარგვის გამო და უღრმეს მწუხარებას აცხადებს. **ოცხელი.**

ჩოხატაური. ძვირფას პედაგოგს და მამას იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებით გამოწვეულ ქართველთა საყოველთაო გლოვას ვიზიარებთ.

მასწავლებლები ბასილეთისა: სამღთო სჯულისა ქორიძე, პოცხიშვილი ტიხონ ჰეიშვილი, ელენა ჰეიშვილი, კალანდაძე, ჯიჯიეშვილი, გორგაძე.

თელავი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი თელავის საზოგადოება უღრმესად გლოვობს დაუვიწყარ პედაგოგისა, იშვიათ მოქალაქისა, დედა-ენისა და მშობლიურ ერის მოსარჩლის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გა-

წარსულიდან

ჩემი მოგონებანი

1885—1887 წ.წ.

შემდეგი *)

VI

1884 წლის საუნივერსიტეტო წესდება იმდენად რეაქციონური იყო და იმდენად ამახინჯებდა საკადემიო ცხოვრებას, რომ თვით ძველმა სახელმწიფო საბჭომაც კი დაიწუნა. საბჭოს უმრავლესობამ უარჰყო წესდება, მაგრამ კატკოვ-ლეონტიევის ქმნილება სასარგებლოდ მიაჩნდა მთავრობას და იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ საბჭოს უმცირესობის აზრი დაამტკიცა: წესდება 3 წლით „საცდელად“ შემოღებულ იქმნა. სწორედ 1887 წ. თავდებოდა ეს საცდელი ვადა და ამიტომ სტუდენტების წრეებში დაიწყეს ლაპარაკი, საჭიროა დემონსტრაციის მოხდენაო; საჭიროა მთავრობას გავაგებინოთ, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ წესდებისაო... ეს იყო ნოემბრის დამლევს. მე უკვე მესამე კურსზე ვიყავი.

ლაპარაკი ლაპარაკად რჩებოდა, რადგან, ჯერ ერთი, იმედი არავისა ჰქონდა, რომ ადგილობრივ სტუდენტების აღელვება შეიძლებოდა, მეორეც ის, რომ სხვა უნივერსიტეტებში არაფერი ისმოდა... მაგრამ ამ დროს მოსკოვიდან რამდენიმე წერილი მოვიდა, რომლებიდან გავიგეთ, მოსკოვში უკვე ერთი კვირაა, რაც სტუდენტების არეულობა დაიწყო, უნივერსიტეტი დახურეს, ქუჩებში შეტაკებაც მოუხდათ პოლიციასა და ჯართანაო. მეორე თუ მესამე დღეს ამგვარივე ცნობები მოვიდა პეტერბურგის და ხარკოვის უნივერსიტეტებისაც. ამბები უცბად გავრცელდა სტუდენტებში და დაიწყო ცხარე ლაპარაკი. რადიკალები, რასაკვირველია, მაშინვე ჩაერივნენ და გააჩაღეს პროპაგანდა. ორი დღის შემდეგ ნიადაგი უკვე მზად იყო; სტუდენტები ღელავდნენ. დაინიშნა კრება, რომელსაც დიდძალი სტუდენტობა დაესწრო. ინსპექცია დაფაცურდა, უნდოდა კრების ჩაშლა, მაგრამ სტუდენტებმა ლონე იღონეს ღ „კურილკა“-ში ინსპექციის მოხელე არავინ შემოუშვეს. კრებაზე წაკითხულ იქმნა მოსული წერილები, რომელთაგან ყოველი თავდებოდა მხურვალე მოწოდებით ამხანაგთადმი—მხარი დაგვიჭირეთო. ერთმა ორმა სიტყვაც წარმოსთქვა, გამოუძახეს დემონსტრაციის მოხდენის მოწინააღმდეგეთ, მაგრამ ასეთი არავინ აღმოჩენილა. ამიტომ გადაწყდა მეორე დღეს ლექციების შეწყვეტა და მოთხოვნის წარდგენა. უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ არეულობა მიმართული უნდა ყოფილიყო მხოლოდ წესდების წინააღმდეგ და სხვა რამ საპოლიტიკო ხასიათი დემონსტრაციას არ მიეღო.

მეორე დღეს დილა-ადრიანად მივედი უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის წინ ქუჩასა და ეზოში უკვე ჯარი და პოლიცია იდგა, მაგრამ უნივერსიტეტში სტუდენტებს თავისუფლად უშვებდნენ. 10 საათისთვის უკვე მრავალი სტუდენტობა შეგროვილიყო. ზოგგან ლექციები დაეწყოთ კიდეც. სტუდენტებმა ჯგუფ-ჯგუფად ჩამოუარეს აუდიტორიებს, გამორეკეს სტუდენტები, დაითხოვეს პროფესორები; შემდეგ წაართვეს მსახურთ გასაღებები და ყველა აუდიტორია დაჰკეტეს. გამოცხადდა, კრება საქტო ზალაში მოხდებაო და თხოვნა იქ წარედგინება რექტორსაო. მივაწყდით საქტო დარბაზს, კარები დაკეტილი დაგვხვდა; პატარა ხანს უკან კარები ძალით შეამტვრიეს წინ მდგომმა სტუდენტებმა და პირველი რიგი უკვე ზალაში შევარდა. მივიხედ-მოვიხედეთ, სტუდენტები ცოტა აღმოჩნდა ზალაში; უმეტესობა გარედ, კიბეებსა და კორიდორებში იდგა და როგორღაც ყოყმანობდა. მაგრამ ერთი ორიი ცხარე სიტყვა და ზალა მაშინვე გაიჭედა ახალგაზდობით. მოვიწვიეთ რექტორი; ინსპექტორი, რომელიც ჯერ წინააღმდეგი იყო და უარს გვეუბნებოდა, მალე დარწმუნდა, რომ ურექტოროთ ვერას გახდებოდა, და მოიწვია. ზალაში შემოვიდა და კათედრაზე ავიდა რექტორი იაროშენკო. იმას მეტ სახელად იანუსს ვეძახდით: დიდი დიპლომატი იყო; მთავრობასთანაც კარგი განწყობილება ჰქონდა, სტუდენტობაშიაც ახერხებდა კარგი სახელის მოხვეჭას.—გადასცეს ჩვენი მოთხოვნა 1884 წლის წესდების გაუქმებისა და ისევ 1863 წლის წესდების შემოღების შესახებ (მოტივები და რამდენიმე პუნქტი). გვერდში მდგომმა ამხანაგმა მითხრა:

— ვერა ჰხედავ, თორემ დარწმუნდებოდი, რომ ნამდვილი ორსახიანი იანუსია: ცალი პირი, რომელიც კარებიდან სჩანს (კარებში ინსპექტორი იდგა თავის ამალით) მრისხანეთ მოღუშულია; მეორე პირი კი, ჩვენკენ, იღიმება.

რექტორმა, გამოართვა თუ არა სტუდენტს ჩვენი მოთხოვნა, მაშინვე დახია და ცალი ყბით (მრისხანეთ) სთქვა:

— მე არც ნება მაქვს, არც მინდა თქვენი მოთხოვნა მივიღოო...

მეორე ყბით თანაგრძნობის კილოთი გვითხრა:

— ვიცი, რაც სწერია თქვენს მოთხოვნაში და პირადათ გადავცემ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; თანაც ვთხოვ, თქვენი აზრი ახალს წესდებაზე საერო განათლების მინისტრს შეატყობინოს... ეხლა კი გთხოვთ დამშვიდდეთ და სწავლა განაგრძოთ...

ჩვენ მივაძახეთ, სწავლას არ დავიწყებთ, სანამ ჩვენი მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული-თქო. თან მოვითხოვეთ, რომ ოლქის მზრუნველი მოიწვიონ. შეიქნა ყვირილი:—ოლქის მზრუნველი დაიბარეთ ეხლავე, ოლქის მზრუნველი, მზრუნველი! ყვიროდნენ დარბაზში, ყვიროდნენ კიბეებზე, კარიდორებში. რექტორი გაიქცა. ერთი საათის განმავლობაში არ შეწყვეტილა საშინელი აურზაური. ბოლოს, როგორც იქნა დავაწყნარეთ სტუდენტობა და წინადადება მივეცით მზრუნველთან დეპუტაციის გაგზავნისა. სტუდენტებმა იყვირეს: ყველანი წავიდეთ ერთად მზრუნველთანაო! მაგრამ ეს უეჭველად გამოიწვევდა ქუჩაში მდგომ პოლიციასთანა და ჯართან შეტაკებას. ატყდა ისევ საშინელი ყვირილი და მღელვარება თან და თან მატულობდა. ვინ იცის, რით გათავდებოდა ეს ამბავი, რომ უეცრად ინსპექტორის თანაშემწე არ გამოჩენილიყო, რომელმაც შემდეგი განცხადება მოიტანა: მზრუნველის განკარგულებით უნივერსიტეტი დახურულიყო. ურაა! გაისმა ყვირილი, ჩვენც ეს გვინდოდა!, სანამ წესდებას არ გამოსცვლით ამ უნივერსიტეტის კარებს არ გაგაღებინებთ-თქო...

იქვე გადავსწყვიტეთ: რა-კი ჩვენს მიზანს მივაღწიეთ და უნივერსიტეტი დავაკეტინეთ, (sic) პოლიციას ნუღარ მივცემთ ჩვენის დარბევის საბაბს და მშვიდობიანად პატარ-პატარა ჯგუფებად დავიშალოთ. ეს გონიერი გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანეთ და გადავრჩით ცემატყეპასა და იქნება უარესსაც, რასაც იმ დღეებში ადგილი ჰქონდა მოსკოვსა და პეტერბურგს.

იმავ საღამოს ბევრი სტუდენტი დაატუსაღეს. მე ჩემ ბინაზე გვიან მიველ, თითქმის შუაღამისას. შესავალ კარებთან დამხვდნენ „შპიკები“ და პოლიციელები. თავაზიანად გზა მომცეს და კარი გამიღეს. დერეფანში გაფითრებული დიასახლისი შემხვდა და ჩამიჩურჩულა—პოლიცია გიცდისო. მართლაც, ჩემს ოთახში პოლიციას უკვე დაეწყო ჩხრეკა. დაკეტილი ჩემოდანი გამაღებინეს, დაათვალიერეს, მეც გამჩხრიკეს და შემდეგ ეტლით წამიყვანეს ციხეში... ეს იყო პირველი ჩემი დაპატიმრება 1887 წელს, დეკემბრის დამდეგსა.

ადესის პოლიტიკურთა ციხე განთქმული იყო მაშინ თავის მიზანშესაფერის მოწყობითა და სასტიკი რეჟიმით. სავსებით შეიძლებოდა სრული იზოლიაცია პატიმარისა გარეშე ქვეყნისაგან. თითოეული კამერა ნამდვილი კუბო იყო, სადაც არავითარი ხმა არსაიდან არ მოდიოდა და საიდანაც ვერავის დაინახავდი გარდა ზედამხედველი ჟანდარმისა. კამერა საკმაოდ დიდი იყო და სუფთა; პატარა ფანჯარა ზევით ჰქონდა ღ პატიმრისათვის სრულიად მიუწდომელი იყო. კარში პატარა რგვალი ფანჯარა, რომელიც გარედან (კარიდორიდან) იკეტებოდა ხის ფიცრით. კორიდორში ქეჩა იყო დაფენილი, ასე რომ იქ მოსიარულე ჟანდარმების ფეხის ხმა არ ისმოდა; უცებ ასწევდა ფიცარს და მოგაშტერებდა ერთ თვალს. კამერაში რკინის კროვატი იდგა, რომელიც დილიდან საღამომდე კედელზე იყო მიჯაჭული და მხოლოდ და მხოლოდ ღამით ჩამოუშვებდნენ. გარდა ამისა, იდგა რკინისავე მაგიდა და სკამი, რომელნიც აგრეთვე მიჭედილი იყვნენ იატაკზე. იქვე კუთხეში აუცილებელი„ პარაშა“, რომელიც გერმეტიულად იხურებოდა და რომელსაც დღეში ერთხელ გამოსცვლიდა მსახური.. ორ კვირას ვიჯექი ამ ციხეში; არც სეირნობა, არც წიგნი მქონია, არსაიდან ხმა, არსად ადამიანის სახე, გარდა ზედამხედველ მუდამ დამუნჯებულის ჟანდარმისა. ასეთ პირობებში დამწყვდევა დიდი ხნით ადამიანს გააგიჟებს და მართლაც, ადესის ამ ციხიდან ჩემს ხსოვნაში არავინ გასულა ისე, ნერვები ძალზე არ ჰქონოდა მოშლილი... საჭმელი წარმოუდგენელი იყო: სალდათის შავი პური, რომლის მარტო ზედა ქერქის ჭამა შეგვძლო და რაღაც უგემური ბრინჯის ფაფა, რომელშიც გირვანქის მეოთხედი ხორცი იყო ჩაჭრილი...

ერთი კვირა გავიდა და უეცრად ჩემი კამერის კარი გაიღო. შემოვიდა ციხის უფროსის თანაშემწე და კანცელარიაში გამიწვია. პირველი გამოსვლა იყო ჩემი გარედ და სიხარულით გავედი ეზოში—ვინმეს ვნახავ მეთქი—ვფიქრობდი; მაგრამ მთელი ეზო ისე გავიარე, არავინ შემხვედრია. აი, როგორ მზეთუნახა-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 619.

მო. მისი სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადავიხადეთ საკრებულო ტაძარში 3 ივნისს. წ.-კ. გამ. საზოგადოება თელავის განყოფილებამ დაადგინა: დაკრძალვის დღეს განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადაიხადონ პანაშვიდი, საზოგადოების სკოლის სამი უღარიბესი მოსწავლე ყოველ წლივ გაანთავისუფლონ სწავლის ფულისაგან განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად და დაკრძალვაზე დასწრება დაავალოს თავის წევრს ალექსანდრე ვახვახიშვილს.

გამგეობა.

ნუხა. ნუხის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ქართველები უზომოდ შეგვაწუხა გენიალურ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის დაკარგვამ.

იალტა. უღრმესად ვწუხვართ უბადლო პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებას.

რაზმაძე, გეორგობიანი, სხვათრიძე, მერკვილაძე, ნამგალაძე, კორამიძე, ღლონტი.

ჩოხატაური. ჩოხატაურის ქალთა სკოლის მასწავლებელთა ქალ-ვაჟნი და მოსწავლენი ულრმესად დაამწუხრა უბადლო პედაგოგის დაუვიწყარ გოგებაშვილის დაკარგვამ.

სკოლის მზრუნველი კნეინა ვერა სვიმონის ასული ერისთავისა.

ოზურგეთი. მწარედ ვგლოვობთ ცნობილ მოღვაწის, გამოჩენილ პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვის გამო.

კალისტრატე ზარამიძე, დავით გოგიბერიძე, ალექსი ნიკოლაშვილი, გიორგი ქვათარაძე, თომანიძე, ტიტიკო თალაკვაძე, რაფიელ ფურიძე, მიხეილ მეღუა, ნიკოფორ ჩხარტიშვილი, პეტრე სამსონია, გერასიმ ჩხაიძე, პავლე ლეჟავა, ვლადიმერ ოსიპოვი, დომენტი კუტუბაძე, ვალერიან გოგიბერიძე.

ქუთაისი. მარიამ კაუჩხევის საქალებო კერძო გიმნაზია ულრმეს მწუხარებით გლოვობს ძვირფას პედაგოგის, დედა ენის მტკიცე მოსარჩლის და მამის, სამშობლო ქვეყნის ურიცხვთა თაობის აღმზრდელ დაკარგვისა გამო.

ქუთაისი. ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა იზიარებს მთელ ქართველ ერის საერთო მწუხარებას და გლოვას იშვიათ პედაგოგისა, საზოგადო მოღვაწის დაკარგვის გამო, რომელმაც მთელი სიცოცხლე სამშობლოს სამსახურს შეალია. დაკრძალვაზე დასასწრებლად ჰგზავნის გრიგორი იასონის ძე თითაძეს.

ქუთაისი. გადაუდებელ საქმეების გამო ვერ მოვახერხებ გოგებაშვილის დაკრძალვაზე დასწრებას. „კოოპერაციი"-ს რედაქციამ და კოოპერატორებმა დაადგინეს: გვირგვინის მაგიერ თავისი წვლილი მიუმატონ განსვენებულის ფონდს, მის ღრმეს პატივისცემის ნიშნად მთელი წყება უფასო ლექციებისა მოაწყოს სოფლებში: „კოოპერაციები და ხალხის განათლება".

იასონ გაბილაია.

ქუთაისი. ქუთაისის ქალაქის გამგეობაში მოსამსახურენი ვიზიარებთ ქართველთა საერთო მწუხარებას, იშვიათ საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვისა გამო, რომელმაც მთელი სიცოცხლე შეალია სამშობლოს სამსახურს.

ქალაქის მოურავი **ჩიქოვანი.** გამგეობის წევრნი: მოლიძე, ბაქრაძე; მოსამსახურენი: დ. ჭავლიანი, თუთბერიძე, ფურცელაძე, ნაზაროვი, იოსელიანი, მაჭავარიანი, ცქიტიშვილი, კლდიაშვილი, ჟორჟოლაძე, მახვილაძე, ლორთქიფანიძე, ნ. ჩიქოვანი, მარია ავალიანი, ზ. მიბელლი, ბუაძე, ჩიქოვანი, ევგ. ფანცხავა, ნაკაიძე, ჯაფარიძე, კირვალიშვილი, გიგინეიშვილი, იარალოვი.

ქუთაისი. ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ქართველ მასწავლებელთა კორპორაცია უერთებს სამშობლო ქვეყნის საერთო გლოვა-ტირილს, უბადლო ქართველ პედაგოგის, მიუფერებელ პუბლიცისტისა და დედა ენის თავ-განწირულ მოსარჩლის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.

ჭიათურა. ჭიათურის საქალებო პროგიმნაზია მხურვალედ გლოვობს ძვირფას მასწავლებლის, იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის დაკარგვას.

გომი. სინდიკატის სადგომში მამა სხირტლაძემ გადაიხადა პანაშვიდი ძვირფას მამის და მასწავლებლის იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად.

გომის საზოგადოება.

გორი. გორის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ულრმესად გლოვობს სასარგებლო ქართველ მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას; ამასთანავე დაადგინა: გადაიხადოს პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლად და მის ხსოვნის აღსანიშნავად გადაიხადოს სწავლის ფული გორის საქალებო გიმნაზიის უღარიბეს მოწაფისათვის.

გამგეობის თავმჯდომარე **კვალიაშვილი,** მდივანი **ხუციშვილი.**

სამტრედია. კულაშის სასწავლებელთა მასწავლებელი ქალ-ვაჟნი შეაძრწუნა მცხოვან მასწავლებელთა მასწავლებლის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ. პანაშვიდი გადავიხადეთ მოსწავლეთა და აუარებელ ხალხის თანადასწრებით. სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა ხაჯნიამ.

ანი. უგულითადესად ვგლოვობ იმ დანაკლისის გამო, რომელიც ეწია არა მარტო ქართველობას, არამედ ყველას, ვისთვისაც-კი ძვირფასია უმაღლესი ინტერესები განათლებისა ამიერ-კავკასიაში. ნამდვილ რუსულ განათლებაზე აღზრდილი იაკობ გოგებაშვილი, მსგავსად სხვა მის თანამემამულეებისა, ნათლად მოწმობს, რომ კავკასია დიდი ხანია მომწიფდა უნივერსიტეტისთვის და რომ მტკიცდება კავკასიის მცხოვრებთა უკულტურობის შესახებ სრულიად უსაფუძვლოა.

აკადემიკოსი **მარრი.**

ქუთაისი. ქართული სკოლის ჭირისუფალისა და ქართულ ენის მოჭირნახულის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვასა ვგლოვობთ.

ქვედადიმის მასწავლებელთა კორპორაცია

ბაქო. ღრმად დაგვამწუხრა საქართველოს საუკეთესო შვილის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვამ.

„სევერნი გოსტინიცის" მოსამსახურენი: ლევონტი და სერაფიონი თევდორაძენი, ალექსანდრე ზამთარაძე.

ფოთი. საერთო მწუხარებას ქართველ ერისას, ვუერთებთ ჩვენი გლოვის ხმას დედაენის მცხოვან დარაჯს იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.

რუსის სანაოსნო საზოგადოების მოსამსახურენი: ჯორჯია, დოლიძე, ჯაყელი, ბოკუჩავა, მელიქ კაზირია, ჩაჩიბაია, ხვიჩია, ბოკუჩავა, ქანტურია, მალევსკი, ჯუდულავა, ჯინორიძე, მინადორა გაბუნია, აგარაკოვი, ყვანია, ცურიკოვისა, ევგენიევი, ზამბახიძე, კვაძაძე, დოლიძე, შაპარო, სიხარულიძე, ქუდუჩავა, ელენტი.

სამგლოვიარო წერილები.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებელნი და მოსწავლენი ულრმეს მწუხარებას აცხადებენ დიდებულ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო.

სკოლის მონდობილობით ი. მიქაძე.

რესტორან „ბო-მონდის" და სასტუმრო „ვერსალი"-ს მოსამსახურეები უსაზღვროთ ვსწუხვართ დიდებული მამულიშვილის, დედაენის მედგარი დამცველის და უბადლო მასწავლებლის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას. მისი სახელის საპატივცემოთ გვირგვინის ნაცვლად ჩვენშორის შეგროვილ ფულს გადავსცემთ ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს.

რუისის. სახალხო სკოლის მასწავლებელნი უზომოდ დამწუხრებულნი ვართ დაუფასებელი მამულიშვილის და დიდებული პედაგოგ იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის დაკარგვით, რომელიც ერთგული დარაჯი იყო ქართული ენისა და მისი ღრმა საზოგადოებრივი შინაარსით იცავდა ყოველგან და ყოველთვის. მისი ხსოვნა ამოუშლელი იქნება ჩვენს ცხოვრებაში.

პ. თოთიბაძე, სანიკიძე, ბლაღ. მღ. თურქაძე და ქარცივაძე.

ჩვენის სამშობლო ქვეყნის სახელოვან მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ, დიდად შემაწუხა. **იასონ ციციშვილი.**

დაბა ბორჯომი.

ბაქოს მეზღვაურთა კლუბის ქართველი მოსამსახურეები გულითი ვსწუხართ, რომ ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ მოგვაშორა ქართული დედა-ენის მასწავლებელი იაკობ გოგებაშვილი. საუკუნოთ იყოს ნეტარ ხსენებულო მასწავლებელო იაკობ ხსენება შენი.

ამხანაგობის მონდობილობით კირილ ბოჭორიშვილი.

მეორე კამერციული სასწავლებლის ქართველი მოწაფენი გულის სიღმითა ვგლოვობთ, ქართველთა ცნობილ პედაგოგის იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის უდროვო გარდაცვალებას.

მოწაფენი.

სოფ. ბებნისი (გორის მაზრა). თავზარი დაგვცა შეუდარებელ მამულიშვილის ქართულ სკოლის მამათმთავარი, და დედა-ენის დაუქინებელ დარაჯისა იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის დაკარგვამ.

არჩილი, იოსები, ალექსანდრე და სარდიონი ძმანი არავიაშვილები.

სოფ. იყალთო (კახეთი). გარდახდილ იქმნა პანაშვიდი იყალთოის საზოგადოებისაგან ძვირფას და სამშობლოსათვის დაუვიწყარ პედაგოგის იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. წარმოსთქვა ხალხის წინაშე სიტყვა მღ. იოანე მრევლიშვილმა.

იყალთოს საზოგადოება.

პატარძეული (გარე კახეთი). 3 ივნისს, საღამოს შვიდ საათზე, სოფელ პატარძეულის კვირაცხოვლის ეკლესიაში, გარდახდილ იქნა პანაშვიდი იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. მღვდ. იოანე გულისაშვილმა გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა და ხალხს გააცნო იაკობ გოგებაშვილი და მისი მოღვაწეობა. ხალხი ბლომად დაესწრო.

ანასტასია ლეონიძე.

გამოუთქმელ მწუხარებას მიგვცა იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ. დავკარგეთ საყვარელი პედაგოგი სულიერად და ზნეობრივად მწრთვნელი ჩვენი მოზარდი თაობისა, ერთგული დარაჯი ეროვნული სკოლის და სამშობლოს ინტერესებისა, იშვიათი მამულიშვილი, რომლის დახასიათება მხოლოდ შესაძლებელია პოეტის სიტყვებით:

„იყო ვით მტრედი უმანკო,
თვის ხუნდებს უფრთხილდებოდა.
არწივთა კლანჭი არ ჰკრანო,
აპა აზრისთვის კვდებოდა".

ქართველ მოზარდთა გულწრფელ ცრემლებს ვუერთებთ ჩვენს მდუღარებას და მათთან ერთად ვგლოვობთ ეროვნულ სკოლის ბურჯს.

მღვ. ალექსანდრე ქალიაშვილი, არსენ წითლიძე, ნესტორ ძიძიგური, დავით გორთამაშვილი, პეტრე სერ. შუდრა.

მოგონებანი ეფრემ-ხანის შესახებ

(გაგრძელება *)

ბახტიარების განთქმული ხანი, სარდარ-ასადი, მაშინ ყოფილი შაჰის ბიძის, სპარსეთის კრეზად წოდებული ზილი-სალთანეს, ერთ-ერთ სასახლეში სცხოვრობდა. კარგა-ხანს ვიარეთ ეტლით. ქუჩები სავსე იყო ხალხით, რომელიც ჩვენი ეტლის დანახვაზე მოწიწებით გვაძლევდა გზას და მოწიწებით გვესალმებოდა. გზა და გზა ეფრემი მიამბობდა გადახდილი ბრძოლის ეპიზოდებს, რომლიდანაც აშკარად სჩანდა მისი ნამდვილი ვაჟკაცობა და სამხედრო ნიჭი. ძველ ქალაქს რომ გავცილდით და გავედით ახალს ნაწილში, რომელსაც ევროპიელთა უბანს ეძახიან, წინ შემოგვეყარა ცხენოსანთა პატარა რაზმი; გავუსწორდით თუ არა რაზმს, ეფრემმა ეტლი შეაჩერებინა. რაზმის უფროსი სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან და სამხედრო სალამის მიცემით თეირანის უფროსს რაღაც მოახსენა სპარსულ ენაზე. მცირე ხნის ლაპარაკის შემდეგ რაზმი გაგვცილდა, ხოლო ეფრემმა ღიმილით გადმოვნა მას თვალი და წყნარი ხმით, რომელშიც ერთსა და იმავე დროს სიყვარულიც იხატებოდა და კმაყოფილი ამპარტავნებაც წაილაპარაკა:

— ყოჩაღები არიან, ყოჩაღები!

აღმოჩნდა, რომ რაზმი ნაწილი იყო ეფრემის სარევოლუციო მხედრობისა, რომლის უმეტესობამ შემდეგში ჟანდარმთა კორპუსი შეადგინა, იგი საგანგებო მინდობილებით ყაზვინს ყოფილიყო ეფრემისაგან გაგზავნილი და ჩინებულადაც შეესრულებინა დანიშნულება.

— ყველა აგრე რჩეული და თავდადებული ვაჟკაცია—დაიწყო ცოტა ხნის დუმილს შემდეგ ეფრემმა—თუმცა ჯერ კიდევ რიგიანად გაწვრთნილი ვერ არიან, მაგრამ ამ ნაკლს მათი პირადი სიმარჯვე და გულადობა ჰფარავს.

აი იმ პატარა რაზმმა, რომელიც მთლად კავკასიელებისაგან შესდგება, პირ და პირ სასწაული მოახდინა კერეჯის ხიდთან ბრძოლაში.—თქვენ უთუოდ გამოივლიდით იმ ადგილს და ადვილად წარმოიდგენთ, თუ რამდენი თავდადება და მანეობა იყო საჭირო ჩვენთვის, რომ თეირანის ეს მართლაც გასაღები ხელში ჩაგვეგდო. ის სალი კლდის მაღლობები, რომელიც ხიდის გაღმა ყურიდანვე იწყება, გამაგრებული ჰქონდათ შაჰის ყაზახებს რუსის კაპიტან პერებიინოსოვის უფროსობით, მათს უკან იდგა მცირე რაზმი ქვეითი ჯარისა, რომელიც თუმცა თავის თავად ბევრს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ საფრებში მყოფს ადვილად შეეძლო წინაამდეგობის გაწევა. აუცილებელი იყო ამ მაგარი პოზიციის აღება, რადგან, როგორც მოგახსენე, იგი ყელი იყო რეშტ-თეირანის გზატკეცილისა და მოვლურის გაკეთება არ შეიძლებოდა. სეპეხდარის გილაქთა ჯარი და კავკასიელები კარგა ხნის დაბანაკებული იყო ამ პოზიციის პირდაპირ ორი, თუ სამი ვერსის მანძილზე. ვუცდიდით მხოლოდ სარდარ-ასადს, რომელიც ამ მიდამოებში უნდა შემოგვეყროდა თავისი ბახტიარებით. მომენტი გადამწყვეტი იყო: ვინ იცის, იქ რომ დავმარცხებულიყავით, შეიძლება კიდევ დიდხანს დაგვეჭირდებოდა საჭადისის და ძალთა შემოკრება. ამიტომ ყველა გულის ფანცქალით ელოდა ბახტიარების დღე-დღეზე გამოჩენას. საღამო ჟამი იყო, რომ ცის კიდურზე გამოჩნდა შავი წერტილი, რომელიც თან და თან იზრდებოდა და გვიახლოვდებოდა. თავისუფლად ამოვისუნთქეთ ეს იყო სარდარ-ასადი თავისი მამაცი მხედრობით. ყველას სიამის ღიმი დაჰქროდა სახეზე, მაგრამ ერთმა შემთხვევამ, რომელიც ბრმა გაუგებრობის შედეგი იყო, მთლად მოგვიშხამა სიხარულის წუთი: თოფის სასროლზე რომ მოგვიახლოვდნენ, უეცრად ასტეხეს საშინელი სროლა, რომელმაც თავზარი დასცა საძმოდ დამხვდურ ჯარს. შეიქნა საშინელი მიხლა-მოხლა, ყვირილი—გონება დაკარგულნი ერთმანეთს ვეკითხებოდით: რა მოხდა, რა ამბავია, მაგრამ სინამდვილის მთხრობელი კი არავინ იყო. მაშინ ჩვენებმაც წამოავლეს იარაღს ხელი და შეიქნა გაუგებარი, უაზრო სისხლის ღვრა ძმათა შორის. მთავრობის ჯარი გაოცებული დაგვცქეროდა მაღლობებიდან და ვერ გაეგო ასეთი მოულოდნელი სროლის მიზანი. თურმე ჩვენი ჯარის წინა რაზმი, რომელიც კავკასიელებისაგან შესდგებოდა და რომელთაც ბუხრის ქუდები ეხურათ, ბახტიარებს შაჰის ყაზახებად მოსჩვენებოდათ და იმიტომ აეტეხათ სროლა. დიდი ვაივაგლახის შემდეგ ვაფრინეთ შიკრიკები და ვამცნეთ ჩვენი ვინაობა, მაგრამ გვიანღა იყო, ორივე მხარემ შესწირა უნებური, უდანაშაულო მსხვერპლი ყრუ შემთხვევას. უნდა გენახათ საცოდავი ბახტიარების მოთქმით ტირილი, როცა გაიგეს თავისი შეცდომა, რომელმაც ბევრი ვაჟკაცი გამოასალმა წუთისოფელს. იმ ღამეს სამხედრო თათბირზე დავადგინეთ, რომ ორი დღე მიგვეცა ჯარისთვის დასასვენებლად და მესამეს ალიონზე დავძრულიყავით. კავკასიელები წინაამდეგი იყვნენ ამ აზრისა და ამტკიცებდნენ, რომ დაყოვნება შეუძლებელია, რადგან სურსათის საკითხი გაგვიძნელებს საქმეს. მაგრამ მეტი გზა არ იყო, უნდა დავმორჩილებოდით საერთო გადაწყვეტილებას. და აი, სწორედ აქ მოხდა ის სასწაულებრივი ამბავი, რომლის შესახებაც წეღან მოგახსენეთ და რომელმაც სრული დ შესცვალა ბრძოლის ნავარაუდევი გეგმა: შუა ღამისას ამდგარან ჩვენი კავკასიელები, ათი-თორმეტი კაცი, მოულაპარაკნიათ და გადაუწყვეტიათ უფროსების დაუკითხავად, რომ შეჭრილიყვნენ მთავრობის ჯარში და მოეხდინათ აურ-ზაური. დაუდგენიათ და კიდევაც მოუყვანიათ სისრულეში. პოზიციის წინა შუბლიდან აცოცებულან კლდეზე, სადაც ერთი დარაჯიც კი არ შეხვედრიათ, ალბად იმიტომ, რომ ყაზახებს ისედაც მიუვალ ადგილად მიაჩნდათ იგი. გაუვლიათ მძინარე ბანაკი, რომლის შუა გულს დაუსვიათ წითელი ბაირაღი, წამოუღიათ ნიშნად ყაზახების ტანისამოსი, იარაღი და მშვიდობიანადვე დაბრუნებულან უკან. რიჟრაჟი იყო დაძრული, როცა გვაცნობეს ეს საკვირველი ამბავი. ხელად შეიკრიბა თათბირი და ცოტა ხანს შემდეგ სიფრთხილითა და ფეხაკრეფით დაიძრა ჯარი, რომ უბრძოლველად გაევლო მტრის ბანაკი და უკანიდან მოქცეოდა მას. მართლაც სულ ადვილად მოხერხდებოდა ეს მოვლური, რომ ცხენებს არ შეეშალა ხელი. საქმე ისაა, რომ ბახტიარებს მეტ წილად ჭაკი ცხენები ჰყავდათ, ხოლო სეპახდარის რაზმს კი—ულაყები და აი, როცა ჯარი ერთმანეთში განაწილდა, ცხენებმა საშინელი ჭიხვინი ასტეხეს და მთავრობის ჯარსაც გამოეღვიძა. მაგრამ ჩვენი რაზმის ერთმა ნაწილმა მაინც მოასწრო გავლა და ზურგიდან მოექცა მტერს. მაშინ ასტყდა საშინელი ბრძოლა, რომელმაც საბოლოოდ გადმოხარა ჩვენსკენ ბრძოლის სასწორი: მთავრობის ჯარმა ვეღარ გაუძლო ორი მხრიდან იერიშით მისულს რევოლუციონურ ჯარს და გაიქცა. მაშინ კაპიტანმა პერობიინოსოვმა თავისი ყაზახებით შაჰის საზაფხულო სასახლეს მიაშურა, სადაც იმყოფებოდა იმ ჟამად მაჰმად ალი, ხოლო ჩვენ პირდაპირ თეირანისკენ გამოვსწიეთ, რადგან გზა სრულიად თავისუფალი იყო და ხელს აღარვინ გვიშლიდა.

ამ გვარი ბაასით მივაღწიეთ კიდეც სარდარ-ასადის სასახლეს. ეზოს წინ განიერი ქუჩა და მოედანი მთლად სავსე იყო თეთრ-ქუდიანი ბახტიარებით, რომელნიც იქვე ვაჯგუშობდნენ ცხენოსნობაში. შევედით კარგად მოზრდილ ბაღში, რომელიც მშვენივრად იყო [illegible] ტროპიული საკაზმი მცენარეებით. [illegible] ყაფის კარებიდან დაწყებული [illegible]ნამდე იაპონური ქაღალდის ფარნებით იყო განათებული. კიბეზევე დავხვდნენ შეიარაღებული ბახტიარები, მაგრამ რადგან ეფრემი თურმე ყოველთვის დაუკითხავად შედიოდა მინისტრთან, დარაჯთა უფროსმა სამხედრო სალამი მისცა და ჩვენც თავისუფლად შევედით აივანზე, რომელიც ფართო ტერასას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე აივანს. მთელ სიგძეზე, კედლების გასწვრივ, ჩაყოლებული იყო ქოთნები სხვა და სხვა უცხო ყვავილებით, ისე მოხდენილად ნაზარდი და ჩარიგებული, რომ ცოცხალი ბაღი გეგონებოდათ. განიერ იატაკს ჰფარავდა შინდის ფერი მთლიანი ნოხი, რომლის სიგრძე ოც ალაბს აღემატებოდა. აივანში შემოგვეგება სარდარ-ასადის ადიუტანტი და მიგვიწვია.

(დასასრული იქნება)

ა. ჭუმბაძე.

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 613.

შემოწირულება

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას შემოსწირეს სეირნობისათვის.

67. ნინო დურმიშხანის ასულმა მაკარაშვილმა: 1) ორი ლამაზი ყულაბი ქანდაკებით, 2) ფარფორის ქანდაკება, 3) ხის ჩაჩა, 4) 24 ცალი ღილი.

68. მარიამ ნიკოლოზის ასულმა ორბელიანმა: 6 ცალი ფინჯანი თავის ლამბაქებით, ფარფორისა.

69. ნინო ალექსანდრეს ასულმა საგინაშვილმა: 1) 6 ფინჯანი თავის ლამბაქებით, ფარფორისა, 2) სპირტის სამზარეულო, 3) ორი ხელიანი ჭიქა, 4) პურის საჭრელი დანა, 5) თავის ჩოთქი, 6) სამზარეულოს დანა, 7) თხილის სამტვრევი მაშა.

70. გენადის ამხანაგობამ: 40 ბოთლი ლიმონათი.

71. ი. დ. კიკნაძემ: 13 რუსული წიგნი, 4 მ. 40 კ. ღირებული.

72. ნ. იტრიევმა: ორი გარნიტურა და თმის სავარცხლები.

73. ანნა ნასარიძემ: ერთი ყუთი კანფეტი.

74. ავალიანმა: ერთი ქამარი და ერთი შანდალი.

75. მამულოვმა: ექვსი ბოთლი ღვინო.

76. ექიმ საკოვის ქვრივმა: 1) მძივით ნაკერი ბალიში, 2) კალმის საწმენდი, ფრაგესი, 3) საფერფლენალი.

77. ნინო ჟურულმა: გულის ქინძისთავი მარჯნისა, სამკარცვლოვანი, და ტრაპიზონული თავსხვევი.

78. თამარ სოლოღაშვილმა: გრაფინი და საპირსახოცე.

79. დარია მარგებაძემ: სარკე, ნემსები და ორი სათითე.

80. ილია დურგლიშვილმა: ათი შაური.

81. სილიბისტრო ლორთქიფანიძემ: ხელიანი ფინჯნები ხუთი.

82. მარიამ ვახტანგის ასულმა ორბელიანმა: 1) ხის ავტომობილი, 2) წიგნი, 3) სურათი, 4) მინანქრიანი საფერფლეები, 5) ჭიქის სურა, პატარა.

83. ბაბალე ცერცვაძემ: ორი ცალი „ბებრის ციხე" ლოკოკინებით შემკული.

84. ანასტასია კონსტანტინეს ასულმა გედევანიშვილმა: მინის საკარაქე, ჩარჩო და ორი სურათი.

85. ზაქარია დავითის ძე ფორაქიშვილმა: 1) ქალის პერანგი აბრეშუმისა, 2) ტილოს პირსახოცი, 3) კიდევ პირსახოცი, კარგისა, 4) ფეხის ნოხი, 5) ერთი დუჟინი ცხვირსახოცი.

86. დიჭიატკოვსკის ამხანაგობამ: 1) მინის პრესი, 2) ხუთი კოლოფი სალებავი, 3) სამი კოლოფი კალამი, 4) მანქანები ფანქრებისთვის, 15 ცალი, 5) საფერფლე, 6) ფოსტის ქაღალდები და კონვერტები.

87. ზ. დ. თოიძემ: 1) ხუთი კოლოფი კანფეტი, 2) ხუთი შოკოლადი, 3) ხუთი გოზინაყი, თხილისა.

88. ქირარდოვის მაღაზიამ: ფუფაიკა, ფარჩის შეკერილი წელსზედა, გარუსის ქუდი ბავშვისა, აბრეშუმის პროშივკა და 4 თოფი.

89. კ. თავართქილაძემ: 4 ქართული და 2 რუსული წიგნი.

90. ბინიაშვილმა: ქუდი.

91. გიორგი არუთინოვმა: საპონი.

92. არსენ პერეხანოვმა: ჩოთქი.

93. დარჩო შიოევმა: ჩამჩა.

ვებივით ინახავდნენ იმ დროში პოლიტიკურ ტუსაღებს! კანცელარიაში ციხის უფროსი გადაჭარბებულის თავაზიანობით მომეგება და რაღაც სადარბაზო ბარათი გადმომცა. დავხედე, რუსულად დაბეჭდილი იყო „თავადი ტელემაკ გურიელი" და ზედ ვეებერთელა სათავადო გვირგვინი. ციხის ზედამხედველმა განმარტება მომცა:

— თავადი თქვენ სანახავად მობრძანდა, მაგრამ ნება არა გვაქვს და ვერ განახვეთ. მოკითხვა გადმოგცათ და ფული დაგიტოვათ... თქვენ, მგონი, ჩვენს საჭმელს ვერ შეეგუეთ. შეგიძლიათ თეთრი პური მოითხოვოთ და სადილიც გაიუმჯობესოთ.

შემდეგში ამხანაგ-სტუდენტებმა გადმომცეს დაწვრილებით ეს შემთხვევა. იმ ხანებში თავ. ტელემაკ გურიელი ადესაში ცხოვრობდა და სტუდენტებს მისთვის ეთხოვათ ციხეში მოსულიყო ჩვენთან (ჩემთან ერთად დაპატიმრებული იყო კიდევ ორი ქართველი; ამაზე ქვემოდ). თავ. ტელემაკი კარეტაში, „კოზლაზე" ატივანის მსახურით რომ მოსულიყო ციხის ალაყაფის კარებთან და თავისი სადარბაზო ბარათი გადმოეცა, ციხის მთელი ადმინისტრაცია ფეხზე დამდგარიყო. მაშინვე კარები გაეღოთ და თავადი დიდის ამბით მიეღოთ... თავ. ტელემაკის ამ ვიზიტმა, ცოტა არ იყოს, შეგვიმსუბუქა ციხეში ყოფნის პირობები, მაგრამ სეირნობის ნება და წიგნი, რაც ყველაზედ უფრო საჭირო იყო ჩვენთვის, არ მოგვცეს... საბედნიეროდ დიდი ხანს არ გაგრძელებულ ჩემი პატიმრობა. ერთ საღამოს შემოვიდა ჟანდარმი და მითხრა:

— შეაგროვეთ თქვენი ბარგი, ჩაიცვით და გამომყევით...

— სად უნდა წამიყვანოთ? შევეკითხე მე.

— ეს ჩემი საქმე არ არის! ცივად მომიგო ჟანდარმმა და თან მომაძახა: ჩქარა, ჩქარაო.

მე იმავ წუთს მზათ ვიყავ ჩაცმული და „ბარგით" ხელში სიამოვნებით გავყე ჟანდარმს, რადგან ეს „ბარგი" რაღაც ცვლილებას მოასწავებდა... კანცელარიაში, ციხის უფროსის სავარძელში, ჟანდარმის ოფიცერი იჯდა, რომელმაც გამომიცხადა: ადესის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით თქვენ სამშობლოში იგზავნებით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშაო... ჟანდარმმა ისევ წამიყვანა და გრძელის ბნელის კარიდორით მიმიყვანა ერთ დიდ ოთახში, სადაც უკვე ირეოდა 30-მდე სტუდენტი. კამერის საშინელ სიჩუმის შემდეგ ძალიან მეუცხოვა ყვირილი და სიცილი, რომელიც აქ დამხვდა, მაგრამ ამხანაგთა პირველ მისალმებისთანავე მეც ძალიან მხიარულად ვიგრძენ თავი. სხვა ამხანაგთა შორის აქვე აღმოჩნდნენ ვასილ წერეთელი და კოტე მესხი. გავიგე ამბებიც: სამოცამდე სტუდენტი ყოფილიყო დატუსაღებული; ყველანი უნივერსიტეტიდან გამორიცხათ; ორმოცამდე კაცი თავ-თავიანთ სამშობლოში იგზავნება, ხოლო ოცამდე ციხეში რჩება და მათ შესახებ გამოძიება სწარმოებსო... პატარა ხანს შემდეგ თითო-თითოდ გამოგვიყვანეს და ეტლით, ჟანდარმების თანხლებით, მიგვიყვანეს სადგურზე, სადაც ეტაპის უფროს აფიცერს ჩაგვაბარეს. რამდენსამე სადგურს შემდეგ სტუდენტების უმეტესობამ ჩრდილოეთისაკენ განაგრძო გზა, ჩვენ ოთხი კი—მე, ვასილ წერეთელი, კოტე მესხი და ებრაელი კოგანი, რომელსაც კავკასია ამოერჩია საცხოვრებლად — მეორე ეტაპს გადაგვცეს და პოლტავისაკენ გავემართეთ.

(დასასრული იქნება)

გ. ლასხიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

94. ავეტიქ საფარიანცმა: სამი ნაჭერი შოკოლადი.
95. მართა გეორქოვმა: ერთი კოლოფი შოკოლადი.
96. გულიევმა: ღილები.
97. გრიგოლ დუგაშვილმა: ტუფლი.
98. ვასილ სულთანოვმა: ერთი კონიაკი.
99 სედრაკ არაქელოვმა: ერთი კოლოფი კონვერტები.
100. იასონ სულთანოვმა: 5 ბოთლი ღვინო.
101. კაკაურიძემ: ვედრო.
102. დარჩო შარაბოვმა: ერთი ფინჯანი და ერთი ჩარჩო.
103. ა. მაჰარიანცმა: კოვზები.
104. მიხეილ იანვარაშვილმა: 5 ბოთლი ღვინო.
105. მოსე კულულიშვილმა: არაყი.
106. სოფიო ემბარიანცმა: 6 ნაჭერი საპონი.
107. არ. შახნაზაროვმა: არაყი.
108. სოფიო მიხეილის ასულმა მაღლდაძემ: 1) საზაფხულო პერანგის ფოჩები, ორი ცალი, 2) ორი ცალი სარტყელი, 3) ბალიშის ფოჩები, ორი ცალი, 4) ერთი თოფი ხავერდის გრეხილი.
109. ნიკოლოზ ივანეს ძე ვაჟიკაშვილმა: 15 ბოთლი ღვინო.
110. ბერიძემ: 1) ქოლგა, 2) ქუდი, 3) შარფი, 4) ქალის საწვივე.
111. დოგონაძემ: ორი შლიაპა.
112. ფარცხალაძემ: ორი ქუდი.
113. ი. სტეფანოვმა: ნახევარი დუჟინი საყელოები.
114. ერამოვმა: საყელოები, 6 ცალი.
115. გ. ნაზაძემ: ქალის ქუდი.
116. მიხეილ აბაშიძემ: ოთხი საპერანგე ჩითი და ერთი დამზადებული წელსზედა.
117. რაბინოვიჩმა ძეწკვი მედალიონისათვის.
118. „გუტენბერგმა“: ხუთი წიგნი.
119. ძეგველოვებმა: ოთხი ყუთი კონსერვი.
120. გრ. საგანელოვმა: ერთი გირვანქა კანფეტი.
121. სევანოვმა: მურაბის ვაზა.
122. ძმებმა ჯავახოვებმა: ორი გალსტუკი.
123. გიორგი კვეზერელმა მუფთა.
124. კოვალოვმა: აბრეშუმის ორი სარტყელი.
125. ქურქჩიშვილმა: ორი დუჟინი ღილები.
126. ე. და ნ. ხანგულოვებმა: თორმეტი ცხვირსახოცი.
127. გ. ატომიანცმა: ერთი კოლოფი ღილები.
128. გიგო მაისურაძემ: ვერცხლის საყურეები.
129. გველესიანმა და ჰაჭპანიძემ: 1) ექვსი ნაჭერი ხელის საპონი, 2) ერთი კალათი, 3) სამი მარაო, 4) შვიდი ცალი ჯიბის წიგნი, 5) სამი შუშა დუხი, 6) ორი საფულე, 7) ორი საპაპიროსე, 8) ხუთი ნაჭერი საწვივე, 9) ორი პატარა ჩანთა, 10) ერთი ალბომი, 11) სამი შალი, 12) ოცი გულის ქინძისთავი, 13) ერთი დედოფალა, 14) ერთი ჩანთა წიგნებისათვის.
130. ადამ ოგანოვმა: პატარა ფინჯანი შოკოლადით.
131. ანიევმა: შაურიანი მდოგვი.
132. ძამაშვილმა: ერთი სარდინკა.
133. კ. კიკნაძემ: 1/8 საჟ. შეშა.
134. რ. ჯაფარიძემ: 1/8 საჟ. შეშა.
135. ნიკოლოზ ჰრელაშვილმა: 1/8 საჟენი შეშა.
136. ივანე ზამუკოვმა: ერთი გირვანქა გალეტი, ერთი საშაქრე და სამი ჭიქა.
137. ფირუმოვმა: ჩაის ჭიქა თავის ლამბაქით.
138. ფარაჯოვმა: სამი ცალი ვაზა.
139. მეტრეველმა: ერთი საპონი და 1 შუშა დუხი.
140. მალავერიასონმა: ერთი საპონი.
141. პეტრე ხუმარაძემ: ექვსი ცალი ლამბაქი მურაბისათვის.
142. ნიკო ცინცაძემ: ჩაის სამი ჭიქა თავის ლამბაქებით.
143. გეურქოვის საკანდიტერომ: 4 ცალი კვერცხი.
144. როსტომოვმა: ორი დუჟინი საპონი.
145. ფშაველმა: ორი ბოთლი ღვინო
146. ბაბაჯანოვმა: ორი კოლოფი მომპასე.
147. ვანო ვარაშვილმა: ოთხი ბოთლი ღვინო.
148. ძმ. ჩაჩიბაიამ: ხუთი ბოთლი ღვინო.
149. ა. კოქლაშვილმა: ხუთი ბოთლი ღვინო.
150. ნოვიკოვმა: რეზინის ბურთი.
151. ზაქარია ელიანოვმა: ცხვირსახოცი.
152. ხიზანაშვილმა: საპონი
153. განჯუმიანცმა: ბამბანერკა.
154. საზოგადოება კახეთიამ“ 40 ბოთლი ღვინო, № 2.
155. შუშკა ნიჟარაძემ: მინის ვაზა, ფერადი.
156. ზედგინიძემ: ქოლგა.
157. ძმებმა ჩილინგაროვებმა: ოთხი ნივთი.
158. მოსე და გიორგი ხელაშვილებმა: 8 ბოთლი ღვინო.
159. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე არშუკოვმა: 3 მანეთი.
160. ვახტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილმა; 9 მან. 70 კ.
161. კნეინა ეკატერინე მიხეილის ასულმა ერისთავმა: 5 მან.
162. ქეთევან ჯიბრაელის ასულმა ამირეჯიბმა: 5 მან.
163. ბარბარე მიხეილის ასულმა ამირეჯიბმა 5 მან.
164. თინათინ ფორაქიშვილმა: 5 მ.
165. სხვა და სხვა პირებისაგან: 41 მან. 30 კ.

„საზოგადოების“ გამგეობა უღრმეს მადლობას მოახსენებს შემომწირველთ.

ლენის ამბები

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ლენის ამბების გამოსარკვევად დაინიშნა სენატორი მანუხინი. სანამ სენატორი დანიშნულ ადგილს ჩავიდოდა, გენერალ-გუბერნატორისა და ლენის ამხანაგობის ადმინისტრაციის განკარგულებით ბევრი მუშა არამც თუ დაითხოვეს, ძალით მადნებიდანაც კი გაიყვანეს. განსაკუთრებით ითხოვენენ ისეთს მუშებს, რომელთაც შეეძლოთ პირუთვნელად გაეშუქებინათ ლენის მადნებში მომხდარი ამბები. სენატორმა მანუხინმა კი, ჩასვლისთანავე, გამოსცა შემდეგი შინაარსის განკარგულება: „სახელმწიფო საბჭოს წევრი სენატორი მანუხინი ამით აცხადებს რომ მას უმაღლესად დაკისრებულ მოვალეობის ასასრულებლად საჭიროდ მიაჩნია ლენის მადნებში დარჩნენ ყველა ის მუშები, რომელნიც ან წინად იყვნენ გაფიცულნი ან ეხლაც გაფიცულნი არიან. ამიტომ გენერალ-გუბერნატორის წინანდელი დადგენილება, მუშების ძალით გაყვანის შესახებ მადნებიდან, გაუქმებულია“.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

8 ივნისი.

გაფიცვები.

ლონდონი. დღეს ადგილობრივ გემთა ამშენებელ ქარხნებში 10870 მუშა დაადგა საქმეს 134 გემზე.

სოუგემპტონის გაფიცვა მეზღვაურთა გათავებულა. გაფიცულებს ძველი პირობებით განუახლებიათ მუშაობა.

მინისტრის გადადგომა.

ცეტინიე. მინისტრ-პრეზიდენტმა ტომანოვიჩმა ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი დაანება. ახალ კაბინეთის შედგენა მიანდეს გენერალ მარტიროვიჩს.

ჩინეთის ვითარება.

ციციკარი. აქაურ მანჯურებში გაცხარებული ქადაგებაა. ხალხს უქადაგებენ, ჩინეთს ჩამოვშორდეთ და რუსეთსა ვთხოვთ, რომ ციციკარის პროვინციის პროტექტორატი მიიღოსო. პეკინიდან მოწერილობა მოსვლიათ, მოძრაობა დაუნდობლად ჩააქრეთო.

მუკდენი. სხვა და სხვა ქალაქებიდან ამბავი მოდის, ჩრდილოეთელი მანჯურები სამხრეთელების წინააღმდეგ დარაზმულან და სრულ კანცალკევებას ჰქადაგებენო.

პეკინი. ბანკირთა კონსორციუმმა ჩინეთს 3 მილიონი კიდევ მისცა წინადლით.

მინისტრის გადადგომა.

ბელგრადი. სკუპჩინაში სამართლის მინისტრმა არანჯელოვიჩმა ერთი დამნაშავის პატიების გამო ილაპარაკა, მაგრამ რაკი თანაგრძნობა ვერა ჰპოვა, სამსახურიდან გადადგა.

ოსმალეთის ვითარება.

სტამბოლი. კვირას მომხდარ ამბის დამნაშავენი, რომელნიც ყავახანას დასცემიან, სამხედრო სასამართლოში მისცეს.

ოსმალეთ-იტალიის ომი.

სტამბოლი. სმირნის სანაპიროებიდან იუწყებიან, იტალიელთა გემები აქეთ-იქით დაძრწიანო.

რუსეთი და იტალია.

რომი. „კორიერე დე-ლა-სერას“ თანამშრომელს რუსეთის ელჩ კრუპენსკისთან ულაპარაკნია. ელჩს აღუნიშნავს რუსეთისა და იტალიის ძლიერი მეგობრობა. მეგობრობის სიმკვიდრეს ხელს უწყობს ინტერესთა ერთობაო.

რ უ ს ე თ ი.

ფოსტის გაძარცვის განზრახვა.

ირკუტსკი. ვერხოლენსკიდან შვიდი ვერსის მანძილზე აღმოუჩენიათ 12 ჩასაფრებული ყაჩაღი, რომელთაც ირკუტსკის ფოსტის გაძარცვა მოუნდომებიათ. ამტყდარა სროლა, რომლის დროსაც ერთი ყაჩაღი მოუკლავთ. დანარჩენებს დასაჭერად დასდევნებიან.

თეატრი და ხელოვნება

ქ. გორი. უკანასკნელი გასტროლი (ზაფხულის სეზონში) **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილისა.** შაბათს, 9 ივნისს, **ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი** გამართავს წარმოდგენას კოტე მესხის მონაწილეობით და ქართველ მსახიობთა დახმარებით, წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ჯიოკომეტისა— „მოქალაქობრივი სიკვდილი“,—დრ. 5 მოქ. თარგ. ი. ჯაჯანაშვილისა.

წერილი რედ. მიმართ

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას და გულწრფელ პატივისცემას უცხადებს „ახალი კლუბის“ გამგეობას, შემომწირველებს, მონაწილეობის მიმღებთ და ყველა იმათ, ვინც ხელი შეუწყო „საზოგადოების“ სასარგებლოდ ამ წლის 27 მაისს, ახალი კლუბის საზაფხულო ბინაზე, გამართულ სეირნობას.

თავმჯდომარის ამხანაგი **ალ. მდივანი.**

ბ. რედაქტორო!

გუშინდელ ნომერში „სახ. გაზ.“ მოთავსებული ქართ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორაში მოსამსახურეთა სია სრულიად არ არის დაბეჭდილი და გთხოვთ შეავსოთ. გამოტოვებულია გვარების დაბეჭდვით: ი. გოგებაშვილის სახელობის ფონდის სასარგებლოდ ხელი მოაწერეს მოხსენებულთა გარდა კიდევ, ათათი შაური-ვ. ტიმოფეევმა, ვ. კოკოლმა, მ. გაჩეჩილაძემ, ი. სარაულმა, ვ. მესხიშვილმა, ექვსი შაური-ა. ძამიაშვილმა და გ. ქერელაშვილმა, სულ იყო 29 მან. 60 კ.

დ. ნახუცრიშვილი.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ როგორც ჩემის, ისე ჩემი მრევლის მხრით რაჭის მაზრის ს. ქვედი-ქვედი... ქელიალულის მცხოვრებს აზ. ევგენი ყარამანის ძე დალაქიშვილს და ს. სადმელის ისაია მუსერიძეს, რომელთაც კეთილი ინებეს და შემოსწირეს რწმუნებულ ჩემდამი ახალ ნაკურთხს ეკლესიას პირველმა ერთი დიდი ახალი ფორმის კანდელი, ღირებული 120 მანეთად და ერთი დიდი ხატი, საცეცხლური, ღირებული 13 მანეთად, ხოლო მეორემ პატარა კანდელი, ღირებული 13 მანეთად.

ქელიალულის ეკლესიის მღვდელი

ილია კაციტაძე

რედაქტორ-გამომცემელი

ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

როგორ უნდა გადაურჩეთ გადამდებ სენს? მაგალითად ხოლერას, სახადს, ქუნთრუშას, ყვავილს, წითელას, ათაშანგს, ქავანას? უპირველესად სამისოდ საჭიროა მეტის-მეტი სიფაქიზე. აუცილებლად საჭიროა, ყოველთვის პურის ჭამის დროს არამც თუ დაიბანოთ ხელები, არამედ დეზინფექციაც გაიკეთოთ. ამისთვის კი განსაკუთრებით კარგია გადამდებ სენის მოდების წინააღმდეგ სპეციალურად დამზადებული **„№ 4711 სამკურნალო საპონი“** „№ 4711, Медицинскія мыла“, როგორ უნდა იხმაროთ, ეს აწერილია (რუსულად და გერმანულად) საპნის გასახვევ ქაღალდზე.

განსაკუთრებით გირჩევთ: „№ 4711 კარბოლის საპონი“ (ავადმყოფთა საცვლების გასარეცხადაც კარგია), „№ 4711 მდოგვის საპონი“ და „№ 4711 სულემას საპონი“.

„№ 4711 სამკურნალო საპონი“ იშოვება ყველა აფთიაქებსა, საათფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში, თითო ნაჭერი ორი შაურიდან დაწყებული.

სყიდვის დროს, ყურადღება მიაქციეთ, რომ ყოველ ნაჭერს ეწეროს „№ 4711“ მხოლოდ ეს იქნება თავდები, რომ საპონი კარგის ღირსებისაა. Метцль 184045. (4.1215.1)

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე- , დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. დილ. ხ ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მ. ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე- და მე-I კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ** მე-V ან მე-I კლ. ვაგ. № ·07, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ** მე-IV ან მე-II კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან. სააგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73 დილის 7 ს. 26 წ.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 2 ს. 18 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|1 , ღამ. 8 ს. 33 წ.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა. (-)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67. სახლი სვანიშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საზებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**

(წ. 1074.70)

იყიდება ლიმონადის ქარხანა
„შვეიცარია“
ნაძალადევში

მთელი თავის მოწყობილობით, რადგანაც ტფილისიდან გავდივართ. ცნობებისთვის მიმართეთ **ნაძალადევში, აფანასიევის ქ., № 3, კავთიაშვილს.** (25—492—9)

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი
„SALO—პიჩილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე მევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზანება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად საათფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.

(წ. 1161.13)

ყოველ-დღე
მოგვდის:

ახალ-ახალი ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—77)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას.

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.3)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება იაკობ გოგებაშვილის შემდეგი წიგნები:

ასპინძის ომი	ფასი 7 კ.
ბურჯი ეროვნებისა . . .	„ 20 „
იავნანამ რა ჰქმნა? . . .	„ 5 „
თავდადებ. ქართველნი . .	„ 7 „
მოსავლის მცველნი . .	„ 20 „
მეფე ერეკლე და ინგილ. ქალი	„ 5 „
რანი ვიყავით გუშინ? . .	„ 20 „
რჩეული პედაგოგიური და ჟურნალისტური ნაწერები	„ 1 „
საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრის . .	„ 10 „
სხივი წარსულისა . .	„ 5 „
Методика къ русскому слову для учащихъ . . .	„ 40 „
Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку . .	„ 50 „
Нормальное письмо . . .	„ 20 „
Правда о Тифлисѣ . . .	„ 20 „
О Грузинскомъ и русскомъ алфавитахъ . . .	„ 20 „
Какъ улучшить Кавказскую народную школу . . .	„ [illegible]
Къ вопросу о мингрельской начальной школѣ . .	„ 20 „
Государственный языкъ .	„ 30 „
Очеркъ сравнительной грамматики груз. и рус. языковъ	„ 20 „
Къ вопросу о поднятіи уровня образованія среди грузинскаго дворянства . . .	„ 50 „

ამ წიგნებში ვინც ხუთს ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 20 პროც.
ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред. груз. насел. (წ. 1141.61)

შეუშხეუნა **„ჩვენი გემო“** კვასი

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან; კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაჰკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ **„ჩვენი გემო“** და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა, და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადუღი წყლიდან დამზადებული პურის კვასი მოითხოვონ ყველგან **„ჩვენი გემო“** და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე და ამხანაგობა.**

მისამართი: სუდებნი ქუჩა სახლი № 6. (20.1096.11)

„შ რ ო მ ი ს“ სტამბაში და
წერა-კითხვის საზოგადოებაში იყიდება
იუმორ. ჟურნალების კომპლექტები:

2. „ეშმაკის მათრახი“, 1908 წ. 34 ნომერი . . . 2 „ —
   იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . 3 „ —
3. „მათრახი-სალამური“, 1909 წ. 34 ნომერი . . 2 „ —
   იგივე ყდით . . . . 3 „ —
4. „მათრახი და სალამური“, 1910 წ. 34 ნომერი . 2 „ 50
   იგივე ყდით . . . . 3 „ 50
5. „ალმანახები“, 1909 წ. გამოც.: „აკაკი“, „ეშმაკი“, „ჯოჯოხეთი“, „ტარტაროზი“ და სხ. სულ 10 ნომერი — 50
6. „სალამური“ ,1911 წ. გამოც. 20 ნომ. . , . —1 მ.,
7. „ფაუსტი“ გიოტესი, თარგ. მირიანაშვილისა—1 მ., „კოოპერაცია“ — . — 30 კ.

ვინც გამოიწერს „შრომის“ სტამბიდან თითოეულს არა ნაკლებ 5 ცალისა, დაეთმობა 25 პროც. ადრესი; Тифлисъ, Типографія „Шрома“, Теофилу Болквадзе (0. 287.6)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადული“-ზე

წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოქროშმარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-**

(წ.—1627—71 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ქუთაისში **ჭურჭლეულისა და ავეჯის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,** ქუთაისში

ყოველთვის გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურის [illegible] საქონელი. ვარშავისა და საზღვარ-გარეთის [illegible] ლოიბა. სამოვრები, კეროსინკები და ყოველგვარი [illegible] რი, სოხრილი და ინდოეთის ლერწმის (ბამბუკი) [illegible] ვის კრაოტები, დოშაკები, კედლისა და საპირფარეშო [illegible] გარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, [illegible] ფირფიტები, პიანინო-როიალები, სხვა და სხვა [illegible] (პარომონიკი) ახალის სისტემისა და საეკლესიო [illegible] თაის. და ბათომის გუბერნიისა გვაქვს წარმომადგენლ[illegible]

(წ. 1236.21)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.